

7. 200

საქართველოს მეფე

# გახრანვ მეექვსე



თხულება

დიმიტრი ბაქრაძისა



გამოცემული

ს. ჭიჭინაძისაგან

1880



Handwritten signature in red ink at the top of the page.

საქართველოს მუზეუმი

# გახსენებელი წიგნი.

29881

თხზულება

დამიტანი ბაქრაძისა.



ბიბლიოთეკის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101

თბილისი.

ამბარცუმ ენციკლოპედიის სტამბა.

1880.

Дозволено цензурою. 1880 г., 1 февраля, Г. Тифлисъ.

# განჯანგ შექმნა.

(რძი თავი)

## I

ადამიანი ეკუთვნის საზოგადოებას. იმის აღზდას, მიმართულებას და ცხოვრებას უნდა საგნად ქმონდეს საზოგადოების ინტერესი. ის იმისთვის არ უნდა ჰზოგადეს არც თავის ნიჭსა, არც თავის ქონებას, არც თავის სიწმინდესა. თუ მომართულებას ნაწილს ხაზისას ეს საგანი ესმის და იმის გავლენის ქვეშ მოქმედებს ყოველთვის, მაშინ საზოგადოება მტკიცედ არის დამყარებული და შემძლეა, კეთილ-დღეობისა და წარმატების გზაზე დეას. თუ არა, თუ იმათ თავიანთ ცხოვრებაში საგნად აქვთ საკუთარი ინტერესი, წინააღმდეგი საზოგადოების მოთხოვნილებიას, მაშინ საზოგადოების წევრი არიან სუსტი და თვით საზოგადოების კავშირი დაკლუეულია. ეს ასეა და ასეც უნდა იყოს ადამიანი ყოველს ცხოველს ქმნულებში იმიითა განსხვავებული, რომ ბუნებას ის შეუმგვიანობით; იმისი გონება ამყარებს ადამიანის მოდუმას საზოგადოებად—და საზოგადოება მაშინ ასრულებს თავის მნიშვნელობას, როდესაც იმის წევრი იმას წარმა-

ტების გზაზე აყენებენ. ამ ნიჭს მოკლებულნი არიან და-  
ნაშთენნი ქმნულენანი: ამისთვისაც ისინი ცხოვრებენ გა-  
ცაღებებით, მისდევენ მხოლოდ თავის გულის წადილს,  
ინსტიგტურ მოთხოვნილებას. როდესაც ადამიანი საკუ-  
თაწს ინტერესს და გულის წადილს უწინააღმდეგებს საზო-  
გადოების მოთხოვნილებას და სარგებლობას, მაშინ ის  
ემსგავსება დაბალ ქმნულენას, მაშინ იმისი გონება დას-  
შულია, იმისი წნეობა დაცემულია, იმისი ცხოვრება ზი-  
რუტყვულია. ასე მიმდინარეობს ის მთელს თავის ცხოვ-  
რებაში; იმის მკაცრობის მისდევს იმისი შთამომავლობა  
დრო გადის, საკუთარი ზირუტყვული ინტერესის მსახურე-  
ბა მთელს ნათესაობას ბუნებად ეთვისება; ამის გამო სა-  
ზოგადოება ისეა შესუსტებული და შეწყვეტილი, რომ ორი  
სამი უარეუანი თუ შინაგანი შეჭირვება ამხობს და ანღვევს  
იმასა. ამგვარი იყო ძველად ადამიანის ნათესავის მომდი-  
ნარეობა და სვე. ჯერ ცხრამეტი საუკუნე არ გასულა  
ქრისტიან შობის შემდეგ და მოიგონეთ, ამ დროში რა-  
მოდენი სამეფო იშვა, ალყავდა და ჩაიშალა. რა იყო  
ამისი მიზეზი? ძრავალი ამ სამეფოთაგანი იყო მჭიდროდ  
დასახლებული ერთი ტომ-ნათესავისაგან; უარეუანის მტრი-  
საგან იმას იცავდა ბუნებითი ადგილ-მდებარეობა, შინაურს  
განსაცდელისაგან — მტერიც წესდებაები; მაგრამ ვერც ერთი,  
ვერც მეორე ვერ აძლევდნენ საზოგადოებას შებენას. სხვა  
და სხვა მიზეზებს უჩვენებენ ამ უკარის შემთხვევისას; მაგ-  
რამ უმთავრესი მიზეზი ერთი და იგივე იყო: იმის წევ-

რთავს საზოგადოების ნამდვილის სარგებლობის წინა-  
აღმდეგი მოქმედება და ამის გამო საზოგადოებას კავშირის  
შესუსტება.

ყოველსავე, რასაც აქ ვამბობთ, ცხადად გვიმტკიცებს  
ჩვენივე ისტორია: რა აკლდა საქართველოს, რომ ის მუ-  
დამ წარმატებაში ყოფილიყო? საქართველოს უსასწაურესადა  
ბუნებით და ხელოვნებით გამაგრებული ზღუდეები: იმასი  
ხეობაები და მთის გზები ჩვენ წინა-მართ სულში ეშურათ:  
როდესაც სურდათ გააღებდნენ, როდესაც სურდათ დახ-  
შიდნენ. მტრის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში ძნელი იყო.  
შავის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები იმათ მიფლობელ-  
ბაშივე იყო და აქ ადებ-მიცემობით იმათ შეეძლოთ დი-  
დი სიმდიდრე შეეძინათ. საქართველოს ადგილ-მამული  
შემგობილი იყო უხვად ყოველ-გვარის ჭვითას: ის აწარმო-  
ებდა ისეთს მცენარეებს, რომელნიც იბრებიან მხოლოდ  
სხვა და სხვა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში შე-  
ერთებით. ქართული ერთი შეადგენდა მჭიდროდ დასახლე-  
ბულს, ერთი ერთმანეთზე დამოკიდებულ ტომს, კაკაზიის  
ქედიდამ მოყოლებით ვიდრე შავ ზღვამდე. ქართველნი:  
იყვნენ მინიჭებულნი წარმატების მარცხის ნიჭიერებით,  
ხასიათის ძალით და მხსენებით. თვით იმათ ახალ სარ-  
წმუნებებსა, რომელიც საქართველოში შემოტანილი იყო  
მეოთხე საუკუნეში წმიდა ნინოსგან და რომელსაც საუ-  
ნად ქმნიდა საზოგადოების წევრთა ურთიერთი სიყვარუ-  
ლი და მასხადამე იმათის უხეობის და ყოფა-ცხოვრების

წარმატება, ამ საწრწმუნოებას სამუდამოდ უნდა დაეკავში-  
რებინა ქართველი ტომი, უნდა დაეკავშირებინა უფრო  
ამიტომ, რომ იმას გარეშემო კხვივინ დაუძინებულნი ქრის-  
სტეს სჯულის მტრნი — ცეცხლის თაყვანის მცემელნი და  
მაჰმადიანნი. მართლა და ვიდრე ჩვენ ტომში დაიხშოდა  
სახოცადო გრძნობა, ვიდრე ჩვენი წინაპრნი ერთობას  
მსახურებდნენ, ისინი ყოფილან ძლიერნი, ძლიერნი შინათ  
და გარეთ. მამულის შემუშავება, ტენიგური ხელაფნება  
გავრცელებული თურმე იყო ჩვენ ქვეყანაში. ჩვენ ვხედავთ  
ახლაც მრავალ ნაშთს არხებისას, კლდეებში საურმე გზებისას,  
მთებში და უდაბურ ადგილებში ვენახებისას, სასახლეებისას  
და ეკლესიებისას. სხვა არა იყოსრა ძველი ეკლესიების  
მშენებრი სხვა და სხვა მრავალ-გვარნი არხატეატურული  
ხელაფნება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენნი წინა-  
პრნი ოდესმე განვითარებულნი ყოფილან ცოდნით და  
შრომის მოყვარეობით. ისინი გონებით განსწილ-  
ნი და მეცნიერების მიმყოფნი თურმე იყვნენ. შინ იმით  
სასწავლებლად ჰქონიათ მონასტრები, გარეთ უმაღლესის  
სწავლის მისაღებად ვიზანტია და თვით იტალია. ქართვე-  
ლებმა დასტოვეს შესანიშნავი გონების საწარმოები, რომელიც  
შეიცავს ზოგინასა, საეროსა და სამღვდელთა ლიტერატურასა,  
ნამდვილ ქართულსა და სხვა და სხვა ენე-  
ბიდან გამომდებულსა. იმათ ისე შემუშავებიათ თავისი  
ენა, რომ თუმცა ის ახლა ჩვეთვის თითქმის დაკარგუ-  
ლია, მაგრამ იმას შეუძლიან თითქმის ყოველივე საშენი-

ერს საგანი შეითვისოს და შეიმუშავოს რა დრო იყო  
ის დრო? ის ის დრო იყო, როდესაც საქართველოში  
ჭყვარდა ერთობა, ესე იგი, მეათე, მეერთმეტე და მეთორ-  
მეტე საუკუნე. ძაშინ ჩვენი ტომი რიცხვით დიდად თუჩმე  
მატულობდა და იზღებოდა, ასე რომ იმას ეპყრა ადგი-  
ლები, რომელნიც ახლა ან გაუკრახებულნი არიან, ან უც-  
ხელ ტომთ უჭირავთ. ძაშინ უცხელ სამეფოთაგან საქარ-  
თველად შატავ-ცუმული იყო და აზიასში შემდეგ სამფელ-  
ბელად ირიცხებოდა. ძტეკი ან ვერ ჭებდავდა იმასთან შებ-  
რძელებას, ან ხშირად იძლეოდა. ეს მდგომარეობა რომ შემ-  
დეგ ან შეწყვეტილიყო, უჭკველია, ქართველი ტომი ერთის  
მხრით მოიკუნებოდა კავკასიის აქეთ და იქით კასპიის  
ზღვამდე, მეორეს მხრით გარეცველდებოდა მთელს მდინე  
აზიასში, სპარსეთის საზღვრამდე; ძაგრამ საუბედურად  
შემდეგ შინაურმა განხეთქილებამ, საზოგადო ინტერესის  
წინააღმდეგმა მოქმედებამ ექვსის საუკუნის განმავლობაში  
ამოჭკვეთა საზოგადოებისა და მამულის ნამდვილი სიყვარ-  
ული, დაამხრა ხსეობა და დაარღვია ყოველივე შინაური  
კავშირი. წარმოიდგინეთ რას ვხუდავთ? პიჩკველად მონ-  
გოლები, რუსუდანის დროს, მეცამეტე საუკუნეში, ხალ-  
ხის შესასურსტებლად საქართველოს რ სამეფოდ ჭყოთენ.  
შასუგან იმათ მიზანკით ქართველები თვითონვე ჭკვევენ  
თავიანთ თავსა რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ. ვა-  
ხუშტი ამბობს მეთხუთმეტე საუკუნის განკლის აღწერაში:  
„და იქმნა მიერ ჟამიღვან სამეფოსა განყოფილება სამად,

რამეთუ ერთი მეფე დაჰქდა იმერეთს, ერთი კახეთს, ერთი ქართლს და არცაღა თუ ამას აკმაკეს, არამედ განდგნენ თვის-თვისად მთავარნი, ათაბაგმან დაიპყრა საათაბაგო ანუ სამცხე-კლარჯეთი, კვალად იმერეთაკან განდგნენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სხვანი, და ამით დაიპყრნეს საზღვარნი თვისნი და ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი, არამედ კვალადცა უფროსდა დაკნინებანი: ქართლის მეფემ კონსტანტინემ განიზრახა შემოკრება ქართველთა, მაგრამ ვახუშტის თქმითვე, „დიდებულნი ერთგულნი, ვინაიდგან მტკიცედ დგანან ერთგულობასა ზედათ ვისთა მეფეთათა იმერნი და კახნი, და კვალად ათაბაგისა სამცხენი, ამისთვის არა განვიზრახავთა ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვცადოთ ყაში“. ეს ყაში არაოდეს აღარ დაბრუნებულა და, რაღა ეჭვი უნდა, თავის თავად არც დაბრუნდებოდა.

აქედამ სხანს, რა გვარ დაეცა ჩვენს ქვეყანა თამარის შემდეგ ორასის წლის განმავლობაში ვუხვეწოთ, რა მდგომარეობაშია საქართველო მეოთხთმეტის საუკუნიდამ. ეს საგანი დიად ღირს-შესანიშნავია ჩვერთვის: აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მამა-პაპის ბრალი და შეცოდება იმის შთამომავლობას სდევნის და ჭსჯის, თუ ეს შთამომავლობა არა გრძნობს ამ შეცდომას და ღონის ძიებას არ ეძებს, რომ ის თავიდან აიცილოს, რომ საქართველოს უბედურების მიზეზნი ჩვენნი წინაპარნი იყვნენ ეს ცხადია: რომ იმათნი შეიღ-

ნი ვერ მიჭხედნენ ამ მიზეზს, ესეც ცხადია. ჩვენ შეიქმნა შოგნი შემძლები იყვნენ; იმათ შემთხვევა ხელად აძლედა თითქმის მთელს საქართველოს. იმათ შექმნათ მთელი ტომი შემოკრებით: ამაზე იყო დამოკიდებული შინაურნიკავშირი, საზოგადო ინტერესის შემზღობა და ძალა. საუბედუროდ, ისინი თვითონვე უარს-ყოფდნენ ღონისძიების მოხმარებას: როგორ დავარდვიოთო ძველადვე დასკვნილი წესი, როგორ ვუმუხთლოთო ამა და ამ სახლის შვილს, მეფეს თუ მთავარს, რომელიც ნათესაობით არის ჩვენთან შეკავშირებული? აი როგორ ფიქრობდნენ ისინი. ამ წესს ანუ უკვე ვითქვამთ, უგადურეს უწესობას ეხმარებოდნენ თურქნი და სპარსნი. იმათი სარგებლობა მართხვდა, რომ ქართველნი მუდამ გაცალკევებულნი და ერთი მეორის მტრნი ყოფილიყვნენ. საქართველოს გარემოება ისეც მომდინარეობდა, როგორც იმათ ჭსურდათ. ისინი თვით ნათესაობის დამოკიდებულებასაც ამოფოთებდნენ. იმათ დაბადეს დაუძინებელი მტრობა და ბრძოლა მეფისა მეფესთან და მთავართან, მთავრისა მთავართან და მეფესთან. იმათ ჭმაძვდნენ თავადნი და აზნაურნი; თვით სამღვდელნი და მღაბაღი ხაღზა იმათ ჰარტიებად იყვნენ დაგლეჯილნი: ისეა მხარე არეული, რომ ხან და ხან თქვენ არ შეგძლიანთ შენჭნიშნოთ, ვინ არის მეფე, ვინ არის მთავარი. მთავარი იმონავებს და სტუვენავს მეფესა, მეფე მთავარსა, თვითოეული თავის თავისთვის ცდილობს, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს,

რომ თავისი უკულის-წადილი აღსრულებაში მოიყვანოს. აი ერთი გარემოება, ისეთი გარემოება, რომელიც იშვიათი არ იყო ჩვენში: შეთქმულმა საუკუნის გასულს ქართლში შეუღობდა ლუარსაბის ძე სვიმონი. იმას ჭყვანდა ძმა დავითი. დავითმა თვითონ მოინდომა შეუღობა; ის წავიდა სპარსეთს, დაუტოვა თავი შაჰ-თამაზს, მიიღო მან-მადიანობა, დაიბრუნა სასულიერო დაუდ-ხანი და დაბრუნდა ხელმწიფედ სპარსეთის ჯარით; ასტუდა ძმებში განხეთქილება და შეუწყვეტალი ბრძოლა. ასე ადვილ საქმედ მიაჩნდათ ჩვენ წინა-ჰართა სისხლის-ღვრა, რომ უბრალო შური, უბრალო შემთხვევა ჰბადებდა ერთი-მეორის უღელსას. 1539 წელს ლუარსაბ ვირველი და მესხნი ბახიანში შეეხვეს რამდენიმე, რომელთაც ეჭირათ სამცხე. „მამონ — ამბობს ჩვენი მატია — მესხნი იტყუდნენ, ჩვენ ვართ წინა-მბრძოლნი ძველადვე და აწცა ქვეყანა არს ჩვენი და ჩვენადვე ჯერ-არსო. არამედ არა იხებეს ქართველთა. ამისათვის შური იძიეს მესხთა და არღარა შეეწყოდნენ მათ და მოწყდნეს ქართველი მრავალნი და ივლტოდნენ მესხნი და ამით იძლიერენ იგი-ნი.

ამ მდგომარეობაში რამდენი და სპარსნი უშიშრად შემოდიოდნენ საქართველოში და თავისუფლად ბძანებდნენ. იმათი წინააღმდეგი არავინ იყო. ისინი მხოლოდ ერთი მეორის შიშში იყვნენ და უფრო ერთი მეორეს ებრძოდნენ. ქართველნი ჭკუკმაცდნენ ზოგნი რამა-

ღუგებს, ზოგნი სპარსებს, და თავის მხარეს თვითონვე  
აღსრულებენ. რამდენჯერ შემოსულან ოსმალი და სპარს-  
ნი ჩვენში, რამდენჯერ აუკლიათ იმათ საქართველო, რამ-  
დენჯერ ამოუწვავთ თვით თბილისი, ამის თქმა ჩვენ გვკ-  
მნელება ოსმალები ჭყოფდნენ საქართველოს ფაშაღიკებად  
და სანჯაგებად, სპარსები — საბუგლარბეგებად და სანანო-  
ბად. ოსმალების გავლენა და ძალა უფრო სამცხეში და იმერ-  
ეთში მოქმედებდა სპარსებისა — უფრო ქართლში და კახეთში.  
მუსულმანის საწმენობა ადრევე შემოვიდა ჩვენში. სას-  
თაბაგო თითქმის მთლად ვაშაჭმადიანდა, ქართლ-კახეთში  
ის შირველად აღიარეს მეფეებმა და უთხანის დროდამ, მა-  
სუგან გავრცელდა თავად-ახნაურებში. დროს განმავალ-  
ობაში აქ ისეთი წესი დაიდო, რომ არცერთ მეფეს არ  
შეეძლო ტახტზე ასვლა, თუ ვარკვან მანდ არ აღიარებდა  
ისლამს და თვით სპარსეთში არ იახლებოდა შაჰსა. სპარ-  
სეთიდან ის შემოდიოდა მეფედ სპარსის ჯარით, რომე-  
ლიც აქვე მყარდებოდა. ეს ჯარი იჭერდა ციხე-სიმაგრე-  
ებსა და ბრძანებლობდა ქალაქებსა და სოფლებსა. ვახუშ-  
ტის თქმით, ერეკლეს დროს, მეზუადმეტე საუგუნის  
გასულს, უიზიდობანი მცველნი თბილისის ციხისა-  
ნი ჭკვლიდნენ და წარუსმდიდნენ კაცთა ცოლ-შვილთა,  
სხვათა ჭუიდნენ. და ჭირისა ამისთვის ვარდაშენდებოდნენ  
ქართლისა გლეხნი და აზნაურნი კახეთს: „გიორგი მეტერ-  
თმეტის დროს იგივე ვახუშტი იტყვის: „იპარვიდიან სი-  
ლაღითა მცველნი ციხის თათარნი თბილისისნი, გორისა

და სუქამის ტყეეთა და ჭეიდიან, და შუკრიათ ქართველ-  
თაცა განსეილვა ტყეეთა და იცვალებოდაცა ქვეყანენი  
ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა სხე წყ-  
სითა და ყოველითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცო-  
დვითურთ. ტყვედ მიჭყვანდათ რამდენს იმერეთიდან,  
სპარსეთს ქართლ-კახეთიდან. მარტო შაჰ-აბასის დროს  
ჩვენი მატანიე უჩვენებს ერთ იმის შემოსევადში ტყვედ  
კაყვანილს 80 ათას სულსა; თანა მდროენი უცხე ტომთ  
მწერალნი სომეხი არაქელ თავრიზელი და მუსულმანი ისკან-  
დერ-მუჟი ადგილობრივ კახეთში ამოხრცილთ გარდა, რე-  
მუნდის შეადგენდნენ 60—70 ათას სულსა, სპარსეთს  
გადასახლებულთ რიცხვს უჩვენებენ 100 ათასზე მეტსა.  
იმით მაგიერ შაჰ-აბასმა კახეთში აღკრებიჴანიდამ 150-ათა-  
სი კომლი თათარი დასახლდა. ირანცურის მწერალი შარ-  
დენი, რომელსაც მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში  
და სპარსეთში უმგზავრია, იტყვის: „სპარსეთის სისხლი  
ახლა დიდად განშეკენიერდაო, რადგანაც ამას ქართული  
და ჩერქეზული სისხლი შემოეკრიაო; ქართველნი და ჩერ-  
ქეზნი შეადგენენო უკეთესს ნათესაობას ქვეყანაზე აკებუ-  
ბულაობით და მხნეობით; სპარსეთში არც ერთი წარჩი-  
ნებულნი პირი არ არისო, რომ ან ქართველი ან ჩერქეზი  
დედათ არა ჭეყანდესო, თვით მეფეიდან მყოფლებული  
რომელიც დედის მხრით, უმტკვლად, ან ქართველი ან  
ჩერქეზია.“ იმ დროებში უკეთესი ჩვენი უმაწვილ-ქა-  
ლბა და უმაწვილ-კაცობა სპარსეთს გადაიღდა ან სპარ-

სების სისხლის გასამშვენებლებად საზოგადოდ, ან საბრძოლველად სპარსეთის მოსაზღვრე მტრებთანა. იქ თვით ჩვენის სამეფო სახლის წევრთა და კეთილ-ძობილთა განკუთვნილად აძლევდნენ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეობასა, რომ სპარსეთი შეეთვისებინათ იმათთვის, რადგან შაჰების განზრახვა იყო ოდესმე მთელი ქართლ-კახეთი იქვე გადაესახლებინათ.

მეზღვიდმეტე საუკუნის დამდეგ შაჰ-აბასის დროდამ, ოსმალებსა და სპარსებს გარდა, საქართველოს სხვა მტერიც გამოუჩნდა. 1616 წელს შაჰ-აბასმა ამ სიტუციით მიჭმარათა ლეკებს: „მსურს კახეთი ამოგწვიტო; ამოჭნოცით და დაატყვევეთ უკლავ, ვინც კი იქიდან მოქცენს მეზობლად მთებში ამოკადეს“. ლეკები ამ რჩევას შეუდგნენ. თავდაპირველად იმათ შეაწურეს ვაღმა-მხარი. მრავალი იმათგანი დასახლდა ჭარში, ბელაქანში და ახლო-მანლო. აღაზანზე დასდეს ბინა ანწურელებმა, თებულებმა და ყირხის მცხოვრებთ... იმათ დაიწყეს დიდის ჰარტიებით ტანტადი; ისინი მოეფინებოდნენ კახეთში, სომხეთში, ქართლში. მთელი დაღისტანი იქებზე იდგა და უბედურს ჩვენ მხარეს სტუმდა. ისინი ჩამოიკრიბოდნენ წახურადამ ელისურზე, სუდილიდამ ყუბზე, ყაშსამიდან ნურზე, მისილმანდიდამ ბელაქანზე. თავისთავადი მისჯდა-მოსკლას საქართველოში გამხელდა: შთაბარი, ტყე, გზა, ქალაქებისა და სოფლების არე-მარე დატყერილი იყო დაღისტნელებისაგან. იმათ ჭყვანდით ბელადები, რამეღ-

თაც უოველივე ადგილები დაწვრილებით იცოდნენ. თვით ხუნძის მთავარი, ავარიის ხანი, დიდის ჯარით ხან აქ სტემადა, ხან იქა. ამ საჯანზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი დოკუმენტები, რომელნიც მკვიდრებზე საუკუნის გასულს და შეთვრამებზე საუკუნის დამდგარს შეეხებიან. ეს არის იმამ-ყული ხანისა და თემურაზის წერილები სპარსეთში ჭუსეინ-ყული-ხანთან ანუ ვახტანგ VI, რომელიც იმ დროს ირანის სპარსულად და აღმოსავლეთის ბეგლარ-ბეგად იყო. ამ წიგნებში გარკვევით და სულის აღსაშფოთებულის დაწვრილებით არის გამოხატული ვახტანგის ბედ-გრული სვე, იმისი განწირული მდგომარეობა, ლეკების მძვინვარება და იმათგან სისხლის სმა. იმამ-ყული-ხანი და თემურაზი კვადრებიან ვახტანგსა, რომ იმან მთარგველობა და შემწეობა გამოხატოს სპარსეთის შაჰსა. აი რომდენიმე სიტყვა ამ წერილებიდან. „ჩვენ მუდამ დღე მახვილ ქვეშ ვართ; ლეკების ძალა უფრო და უფრო მატულობს; არც ერთი გუთხე არ დანა, რომ სისხლი არ იღვრებოდეს. თუ თქვენი მტრადნიეობა და მეომება შეებას არ მოგვეძის, ჩვენი საქმე წასულია, ჩვენს მხარეს აღარა იმედი არა აქვს რა...“ „აქამომდე ჩვენ გვებრძოდნენ მარტო ჭარბნი, თალაღნი და პირ-იქითნი ლეკნი; ახლა გულისა-დარას ჯარებიც შემოგვესია, დაღისტნელებს ბინა პირ-აქეთელ ლეკებთან აქეთ და იმათ მიიმხრეს ყაბალი, შაქი და სხვა...“ „ახლა ჩვენი მტრები გავაზში დგანან... ვახულებთან და გაღმა მხრის სოფლებთან იმათ მოღვაძე-

რაკება დაიწიეს: შაჰის შემწიონას ნუ მოკლეთო, შაჰის  
ჯარი დამარცხდაო, სჯობს ჩვენ მოკვებმარცხეთო...“ თქვენ  
იციეთო, რომ გლესს მოკლე ჭკუა აქვს და ის მხალღ  
იმას იჯერებს, რასაც თვალთ ჰხედავსო. იმათ მიიღეს  
მტრის რჩევა და თავიანთ მხარეს ბრძოლა აუტყვეს.  
არა თუ გლესნი, ზოგნი თავადნიც იმათ მიეკუძნენ. თუ  
ამ საფრთხეს არას გვიძველით, დანაშთენი განეთიც გადა-  
დგება და ვაი ადერბიჯანსაც და კარქუ ადგილებსაც...“  
შემდეგ ამ წერილებში ვკითხულობთ, რომ შიგნით განეთი  
ლეკების მხარეს მიემხრო. რა ძალი ჩვენი ტომის ხალხი  
სხვა და სხვა დროს გადაუსახლებიათ: ლეკებს დაღისტანში,  
ჩვენ ამასო ცნობა არა გვაქვს. თუ მოვიგონებთ, რამოდენ-  
ა ადგილებია ქართლ-განეთში გაგარანებული, რამოდენა  
სოფელია დატლილი, მაშინ ეგვი არ აღარ უნდა გვიჩინ-  
დეს, რომ მრავალი ხალხი ამოუწიქტიათ და დაუტყვევე-  
ბიათ ლეკებსა. საქათლის მხარეში უამბნიათ ჩემთვის,  
სად და სად ცხოვრობს აქამომდე დაღისტანში გაღიკებუ-  
ლი ქართველობა. ეს ადგილები თურქმე არის: ჯინგი,  
სუაგალი, წოხურა, გილ-მიწი, მუსლაგა, ხაგი, ქურდულა  
შეგურა, მიმიჯიშა, ეზგილა, ქოთოკლე, ზურხა, მიქიქა.  
მოსლაგის მთებში ეკლესიებიც თურქმე არის აქამომდე  
და იქ თვითონვე აღიარებენ თავიანთ ქართველ შთამომავ-  
ლობასა. ზოგიერთს იმათგანს ძველი ქართული წიგნებიც  
თურქმე აქვთ აქამომდე.

წიგნი იგივეა, რომელიც ჩვენს ხელშია, მაგრამ იგივეა, რომელიც...

## II

ეს იყო საქართველოს მდგომარეობა, როდესაც ქართლის ტახტი მუხრან-ბატონის სახლმა დაიჭირა. მუხრან-ბატონები შეადგენდნენ შტოს კონსტანტინესა, რომლის დროს საქართველო სამეფოდ სამსამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიკლვირა. კონსტანტინეს შვილის დავით მეფის ძმამ ბაგრატმა, ვახუშტის სიტყვით, „გამოსთხოვა დავითს მუხრანი საუფლის წულად და არაგვისა და ქსნის-ხევის მთიულ-მოხევეთურთ, თვისსა მოწილესასა ქვეშე, რომელიცა არს მიერიდგან ერთ სპასხეტოდ ანუ სადროოდ“ ბაგრატის შემდეგ მუხრანის საუფლის-წულად განაგებდა უფროსი შვილი ანუ ძმა. მუხრან-ბატონებმა აღმოაჩინეს დიდი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაში: ისინი ებრძოდნენ სპარსებსაც, ოსმალებსაც. იმათში განსაკუთრებით ჩვენს ეურადღების ღირსნი არიან: თეიმურაზის ძე ვახტანგ მეხუთე, რომელიც იშვილა უშვილო ქართლის მეფემ რომსტომმა და ამის შემდეგ 1658 წელს მეფედ დაჯდა. ვახტანგის შვილებმა ცნობილნი არიან: გიორგი მეოთხრთმეტე, ვახტანგის შემკვიდრე, არჩილი დიდი მოქმედი ზირი და შწეწადი, აგრეთვე ლევანი, ვახტანგ მეექვსის ძმა. როდესაც მუხრან-ბატონებმა ქართლი დაიჭირეს, საქართველო შემცირებული ქვეყანა იყო. საათაბაგო ჩვენ აღარ გვეხუ-

თენოდა. ის მოგვეგლიჯეს ოსმალებმა და ფაშალაყად და-  
სდეს; აქ იმათ ათაბაგის მაგიერ ფაშა დასვეს; თავისი  
წესი და ფოფა-ცხორება შეძლიტანეს; თავისი სჯული  
და ენა დაამყარეს. იმერეთი სანუგეშოს აწას წარმოგვიდ-  
გენდა. იმერნი ებრძოდნენ ერთი მეორეს და ოსმალებს,  
რომელნიც ცდილობდნენ ისინი ისე დაემონავებინათ, რო-  
გორც მესხნი დაიმონავეს. კახეთი დიდად მისუსტებული  
იყო. კახეთიდან დიდძალი ხალხი გადასახლეს სპარსებმა  
მანანდარანს და ხორასანს და იმათ მაგიერ აქ დასახლეს  
თათრები. თუმცა კახეთს საკუთარი შეიქმნა ჭეჟანდა. მაგ-  
რამ იმას ნამდვილ განაგებდნენ ყვენთაგან დადგენილი ხა-  
ნები, როგორც იმათი გულის-წადილი და სპარსეთის  
შეიქმნა მოითხოვდნენ. ქართლიც არ იყო უკეთეს მდგო-  
მარეობაში. მართალია აქ ქართული წეს-დგოვა ჭსუფიქვდა,  
მაგრამ ისიც უკან და უკან მიდიოდა. აქ რომელიმე მე-  
თის დროდამ სპარსეთის ზნე და ჩვეულებამ ცოტ-ცო-  
ტად იწყო თავისი მოქმედება. უმთავრესი ქართლის ციხე-  
სიმაგრეები, იმათ შორის მეტეხი თფილისში სპარსების  
ხელში ჩაგვინდნენ. მეფეებს ტახტზე ასვლის ნებას ყვენ-  
ბი იმ პირობით აძლევდნენ, თუ ისინი მსჯამადის ალსა-  
რებას აღიარებდნენ. ამ ბედ-კრულმა მდგომარეობამ  
დასდო საფუძველი საქართველოს კავშირისა თანა-  
მოაწიშე რუსეთთან. უკმაყოფილნი, დეგნუანი შე-  
რით თუ საქმის გარემოებით ზოგნი მალადა დადგენილ-  
ნი საქართველოს შეიღნი მიიღებოდნენ რუსეთს, იქ

29881

სპარსეთის

ეკებდნენ ნუგეშსა და შემწობასა. დასაწყისი საქართვე-  
ლას დამოკიდებულებისა რუსეთთან პირველად აღმოჩნდა  
მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც სპარსეთს ბძ-  
ნებლობდა შივინვარე შაჰ-აბაზი და რუსეთს მეფე გოდუ-  
ნოვი. ზოგნი რუსეთს მთელის რჯახობით გადაიღებენ-  
დადიანის ვამეყის სახლობამ სამეგრელო სრულებით დას-  
ტოვას და რუსეთში დასახლდა. ირავლი, შემდეგ კახეთის  
მეფე, იქვე ცხოვრობდა და იზღებოდა. ვახტანგ მეხუთის  
შვილმა არჩილმა იქვე დაასრულა თავისი აღმსარებელი  
ცხოვრება. რუსეთში ვპოულობთ ვახტანგ მეექვსის ძმას  
დომენტის, შემდეგ საქართველოს კათალიკოსს. რუსე-  
თის გავლენას საქართველოზე ისე გამოიქვდა, რომ, რო-  
გორც ამას მაშინდელი მწერალი გრუზინსკი ამბობს, ეგე-  
ნი დიდად თურქე შიშობდა, რომ ვახტანგ მეექვსისაგან  
ლექების ძლეუით რუსეთს არ მისცემიყო შემთხვევა შე-  
მოსულისა სპარსეთის ჩრდილოდ. აქ უნდა მოვიხსენოთ  
ორი დიკს-სახსრუარი ფაქტი, რომელიც მუხრან-ბატო-  
ნების დროს შეეხება: პირველია რომის მისსიონერების  
შეშოსვლა ჩვენში, მეორეა ქართველების შრომა სალი-  
ტრატურა ასპარეზზე. რომის მისსიონერები, რომელ-  
თაც კათალიკოს აღსარება დაუწყებიათ თბილისში,  
გორში, ქუთაისში და ახალციხეში, პირველად შემოსულან  
საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს. მისსიონ-  
ერები უოფიდან დახელოვნებული მკურნალები და ხირურ-  
გები და ამისგანა ისინი დიდის პატივით შეწყნარებიათ.

შარდენის სიტყვათ, დადიანს მიუღია თეატინები 1627 წელსა. ქართლში ვახტანგ მეხუთეს კავშირები დაუსახლებია თბილისში და გორში, სადაც ნება მიუცია შათთავის კათოლიკის აღსარების გაგრძელებისა. ქაიხოსრო, ვახტანგ მეექვსის ძმას, კრუზინსკის თქმით, უხვად დაუწოდებია მისი სიონელები თბილისში, გორში, თავრიზში და განჯაში; ქაიხოსროს ქიზმანში ორი კავშირნი თურქმე დაქუკობდა და თვით კათოლიკის სარწმუნოებაში თურქმე აღესრულა. ვახტანგ მეექვსეს გამართობენია ფრანციის კაროლისთვის ლუდოვიკ მეოთხეშვიტისთვის სხვა მისიონერებიცა, რომელნიც 1715 წელს საბა ობოლენის მოჭედიანს. მისიონერებს უსწავლიათ ქართული ენა და სასწავლებლები დაუწყებიათ იმათ შორის ზოგნი შესდგენიან ქართული ენის გამკვეთვასა და საქართველოს აღწერასა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ. მისიონერების გავლენას უნდა მივაწეროთ ჩვენ ის შემთხვევა, რომ საქართველოში აღმოჩენილა ლიტერატურის მოძრაობა: სტამბის დაფუძნება, საღმთო წიგნების ბეჭდვა და თვით ახალი შვედლობა. რომ იმ დროს მრავალნი ქართველნი ერთვისა და იმავე ხელით იბრძოდნენ და სწერდნენ კიდევ, ეს შემთხვევა თუმცა დიდად გასაოცარაა, მაგრამ უუჭველია. ვახუთის მეექვსე თეიმურაზ მეორეს, ვახტანგ მეექვსის სიძეს უთარგმნია სპარსულიდამ ქართულად ლექსებით სამიჯნურს თხზულება „ოსეო და ზილინა“, საიდანაც შემდეგ იმასვე შეუდგენია „ვარდ-ბუღეულანია“. აჩილ მეფეს ახუ შაჰ-

ნაზარ-ხანს დაუწერა „არჩილიანი“, რომელიც თეიმურაზის ცხოვრებას წარმოგიდგენს. ერთი ნაწილი „არჩილიანისა“ იმას შეუდგენია რსეთში, მეორე — ასტრახანში. გარდა ამისა ჩვენამდე მოუღწევია სხვა სალიტერატურო შრომისაც: გურამი-შვილის ლექსებს, სენისა ჩხეიძის და ივანესიანის გიორგიჯანიძის ისტორიულ მოთხრობას და მუსხლიშვილის სჯულ-დებას, რომელიც ივანესიანის რომანის შესახებ მინდობით სპარსეთში უთარგმნია და აგრეთვე მაჭმაღლის სჯულსა, რომელიც შაჰ-აბაზის ბძანებით იმასვე ანაბოსტანში ანაბუღიდამ ქართულად გადმოუღია. ვახტანგ მეექვსის ბიძის საბა-არბუღიანს სხვათა შორის შეუდგენია „სიბრძნე სინჯის წიგნი“ და პირველი ლექსიგონა, რომელიც ჩვენ უჩველათვის დიდი ცნობილია. აქ უნდა დაგვრთოთ, რომ არც ერთ ქართველს, არც უწინ, არც შემდეგ ლიტერატურის ასპარეზზე ისეთი ღვაწლი არ დაუდგია, რა ღვაწლიც დასდეს თვით ვახტანგ მეექვსემ და იმისმა შვილმა ვახუშტმა. ამ საგანზე თავის ადგილს ვიტყვი.

ვახტანგ მეექვსე იშვა 1675 წელს, ესე იგი იმ დროს, როდესაც იმისი ბიძა გიორგი მეურთმეტე ანუ შაჰ-ნავაზ მეორე ქართლის ტახტზე დაჯდა. მამა ვახტანგისა ლევანი არაქელ იყო დაქორწინებული: პირველ ცოლთან, გურიელის ქალთან თუთასთან იმას ჰქვანდა სამი ვაჟი: ქაიხოსრო, ვახტანგი და დომენტი და ერთი ქალი ხვარამი; მეორე ცოლთან გიორგი ავალი-შვილის ქალთან თინა-

თინთან ჭეკანდა იასე, სვიმონი და თეიმურაზი. რადგანაწ ლეკანისა და იმის მონათესავეების მოქმედება ქართლში და კახეთის ხანთან შაჰ-აბაზის შვილის შაჰ-სულეიმანის წინააღმდეგი საქმე იყო, ამისთვის იმან გიორგი მეფეს მოსთხოვა, რომ ესენი სპარსეთს გაესტუმრებინა ლეკანი, იმისი ბიძა ლუარსაბი და გიორგის ძე ბაგრატე ბძანებას დაჭმორჩილდნენ და ეყენის სამთავროებოში წავიდნენ. შაჰ-სულეიმანმა ლეკანი და ბაგრატე ჭეკათში დაატყვევა, ლუარსაბი ქიქმანს გაგზავნა. ეყენმა თვით გიორგიც თავისთან მიიწვია და ქართლი მიანდო კახ-ბატონს ირაკლის ანუ ნაზარ — აღი ხანს, რომელსაც აღზდა მიელო რუსეთში და 14 წელიწადი ისპანში დაეყო. გიორგიმ უმჯუფოთილება გამოაცხადა და რაჭას ავიდა. ირაკლი თბილისში დაჯდა. „ირაკლი, კახუტის სიტყვით, იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი; უშკერთა მოუბარი; სმისა და შკებანისათა მოყვარე; მტრედთა უურის მიმპყრობი და დიდთა დამდაბლებელი. ირაკლიმ დამტირა ერთგულნი გიორგი მეფისანი, სოგთა მამუსუნა მამულნი და აღამაღლნა კახნი და მისცნა მათ მამულნი მათნი. ირაკლიმ დასხნა თვისნივე კათალიკოსად და მთავარ-ეპისკოპოსებად; დაადგინნა თვისნივე კარის-გამბედი, მსაჯულთ-ურუცესებად და ვეზირად; მათ მიანდო საქმენი ყოველნი ქვეყანისანი და თვით მარადის იშკებდა, იხარებდა და ნადიმობდა“. გიორგიმ ქართლით აუტყვა ირაკლის ბძოლა, რომელშიაც

მონაწილედ აწილის ვარდა ვასტანგსაც ვხედავთ, მაგრამ ირაკლიმ იმას სწავსეთის ჯარის შემწეობით სძლია. ლევანის შვილმა ქაინასრამ და იმის შემდეგ თვით გიორგიმ ეყენთან ხლებს აწიეს. ამ დროს ვასტანგი იყო 15—20 წლის ყმაწვილი კაცი. ის შეუუღლდა რუსუდანს, ჩეჩქეზ-ბატონის ასულს, რომლის ძმად ილ-გიორგი შემდეგ ვასტანგს რუსეთს გადაჰყვდა და იქ დაესახლა. მისდელი თავის მამის საუფლისწულობისა, ვასტანგი დაიარკებოდა აქა-იქ და უფრო იმერეთში ცხოვრობდა. ვასტანგი ემზადებოდა რუსეთს, მაგრამ იმ დროს გიორგი მეუფის და ვასტანგის მამის მოღვაწეობამ ქიკმანში დაუბრუნა იმათ ეყენის მოწყალებამ. ეს მოღვაწეობა დაიღ ღირსია უურადლებიან: სწავსეთს აქმალენ ბელუჯნი და ავღანნი. ჩვენის წყალობით ცნობით, ისინი არბევდნენ სწავსეთს ქიკმანით იეზდამდე და რავდენ გზისცა წარავლინის ეყენთან სწანი და სადადანი, შარადის იგინი მძლე ექმნებოდნან მათ. ამისთვის აიძულებდა ეყენი გიორგი მათეს, რათა განავლას მან საქმე ესე და მინიჭოს მას კვალად ქართლი. შემოიკრიბნა გიორგიმ სწანი ქიკმანისანი და ქართველნი მისთანა; ვლელ უდაბნო ძნელი და უწყლად და მიეწია მათ. მხილველნი იგი განმავრდნენ კლდე-გორაკთა ზედა. მაშინ განუღ გიორგიმ სწანი თვისნი: ერთ კერძოდ ლევან ძმა თვისი და ქართველნი, და ერთ კერძოდ ქიკმანელნი და თვითცა ერთ კერძ მიეტყვნენ ფიტყლად და შეუხდნენ ქართველნი

ბანაკთა მათთა და შემუსრნეს იგინი და მოსწყვიდნეს სრულად, და მოიქცა მეფე ქიქმანს. ამის წილ ევენან მიანიჭა მას ნიჭნი ურიცხვნი და ლეონს მისცა მსაჯულთ-უხუცესობა ეჩანისა და ქაიხოსროს ტარულბა ისპანისა და მოუწოდა ლევანს წინაშე თვისსა ისპანს. მაშინ აუწეს გიორგიმ ევენსა ძმისა თვისისა ლევანისგამო. რამეთუ მწირ ანსო ძე ჩვენი ვანტანგ იმერეთს და უკეთუ ანს რა ეუფას მას შეწვენა ჩვენ მიერ, წარგაღსო იგი რუსეთს“. ასე ანუ ამის თანახმად გვიამბობენ ვახუშტი და სხვანი თანამედროე მწერალნი, როგორც ქართველნი, აგრეთვე უცხო-ტომნი, იმათ შორის გრუზინსკი და ჭანკვი. შაჰმა გიორგის თხოვნით მიუწერა ირაკლი მეფეს, „რათა მოიყვანოს ვანტანგ ქართლს და მისცეს მას ყოველნი საუფლის-წულანი მამისა თვისისა ლევანისანი“ შაჰმა თვით ირაკლი ისპანს მიიხმო, ქართლი ისევ გიორგის დაუმკვიდრა და ვიდრე გიორგი დაბრუნდებოდა ქართლის განმკედ ვანტანგი დანიშნა. ეს იყო 1703 წელს. ვანტანგი იყო — იტუვიან ვახუშტი და სუხია ჩხეიძე — მშვენიერი, ჭაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ უამთა მკისხანეთა; სამღვდელთა პატრიარქ-მცემელი, ქვრივ-ობოლთა და გლახკათა მიმცემი; კვლესათა მამუნებელი. ვანტანგმა განაახლა, სხვათა შორის, თბილისის სიონის გუმბათი, შეამკო სვეტი-ცხოველი, აღმართა ურბნისის ზღუდე, გასჭრა ანკები ნახიდურში, ყალადირში, ლისში, ყარაიში, და აქ თვით სოფლებიც გააჩინა; გააშენა უდა-

ბურღ ადგილში დაბა ხუნანი; ააშენა თბილისში მშენიერი  
სასახლე და შეამკო იგი. თუმცა ვახტანგ იყო გამბე,  
მანკამ მეტედ თურმე იხსეებოდა. ვახტანგმა გააშენა და  
გაავსო ქართლი, რამეთუ რომელნიცა უამსა ირაკლი  
მეფისასა შთასრულ იუვნენ ვახეთს ქართველნი, იმან ბრძა-  
ნებითა ეყენისათა გამოიყვანა ურუელნი და დასხნა თვისთავე  
ადგილთაზედა. აღარ იყო ტყვის გასყიდვა. ნასარ აღინა-  
ნი, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალ-გზის წარუვლინებდა  
ეყენსა ტყვეთა, ხალხს ვახტანგ უკეთუ არა მოითხოვდა ეყენი  
არა წარუვლინებდა, მასცა უჩეტეს მოყიდულთა. ვახტანგმა გა-  
ნაწესა სპანი რომითა მცველად თვისთა: 'იმან მოიყვანა ვლახე-  
თით ანუ ვლახით მესტამბე, გაჩინა სტამბა, განამრავლა  
საღმომ წერილი. ამ დროს შიკველად დაიბეჭდა ქართულ  
ენაზე ბიბლია ანუ დაბადება. სტამბა მოქმედებდა მხოლოდ  
ვიღრე ვახტანგი საქართველოში იმყოფებოდა და იმის  
შემდეგ კი გაუქმდა ირაკლი მეორის დრომდე. ვახტანგი  
სხვა შრომასაც შეუდგა. ეს არის სამოქალაქო კანონი,  
რომელიც ვახტანგის სჯულად იწოდება, რომელიც იმის  
დროდამდე სახელ-მძღვანელად დაიდო საქართველოში და  
ჩვენამდე ხმარებაში იყო. ჩხეიძის მოხსენებით, ვახტანგმა  
"გაჩინა რა წიგნი სამართლისა, ოთხშახათს და შარასკვესა  
დაჯდის სამღივნისა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირე-  
რეთა და დიდებულთა თანა". ვის შემწეობით, საიღამ და  
რა განზრახვით შეუდგენია ვახტანგს სჯულ-დება, ამას ის  
თვითონვე მოგვითხრობს შესავალში: "ნურავინ ჭკონებთ —

იტყვის ის — რომ ჩვენ მხალხად თავით ჩვენით რასამე  
ყოფდეთ, არამედ თანაყოფითა და მოწმეობითა მღუ-  
დელთ შთაგონისა დიდისა დედა-ქალქისა მცხეთისა ძმისა  
ჩვენისა კათალიკოსის დომენტისითა, აგრეთვე თანა-  
დგომითა ერისთავთა, მთავარ-ეპისკოპოსთა, წინამძღვართა  
და კითხვითა ჭკვართა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა-  
თა გაგახინეთ და დაგსწორეთ რომელსა მივსწვდით და ან  
გონებანი ჩვენნი სამართალსა მიჭსკდენენ“. ადგილობრივთა  
სჯულ-დებათა გარდა, რომელნიც მკელადვე ჩვეულებად  
ყოფილან საქართველოში მიღებულნი, ვახტანგს ჩაურთავს  
თავის კანონში „მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და  
კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდამოთარ-  
გმნილნი, აგრეთვე კათალიკოსისა და მეფისა გიორგისა  
და ბექას სამართლები“. „ქართლი ყოფილა — განაგრძობს  
ვახტანგი — ყოვლითა კეთილითა შეიკრულ და შეზაჟეულა,  
ხალხი ცვალებითა დღეთა და კითხვებითა ჟამთათა თვით  
სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაკებდენ ვი-  
ეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე  
შიდრეკვილებით, ვიეთნიმე ღვთისა ურდიელობით და ვი-  
ეთნიმე მიღებითა ქრთამისათა. მეფენი ბევრჯელ დიდად  
ამიდლებულნი და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით  
ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სასულიდა რქმევით.  
როგორც ყმათ სდომებოათ, ისრე უსამართლებოათ და  
ურტიგებოათ. ამისი მომსწრენი მეცა ვარ და სსვანიცა მრავ-  
ალნი. აწ ამისთვის ვიწყოთ, თუ მეფეს მეფობა შეეძლოს

ჰნას, თუ არა მეუბნის უქნელობა სჯობს და ხელის აღება... ვახტანგის სამართალი და იმისივე „დასტულებადი“, რომელიც, როგორც თქვამენ, ამ დროსვე შედგენილი, სპარსეთის სახელმწიფო დავთრების მიხედვით, შეიცავს მთელს სურათს საქართველოს გამგეობისას. „დასტულებადი“ უჩვენებს ყოველგვარ შემოსავალს საქართველოს მეფეებისას, შემოსავალს და ჯამაგირს სახელმწიფო მოხელეებისას, აგრეთვე რა გვარი მეურნეობის წესი ყოფილა ჩვენში, და რა გვარი დამოკიდებულება ჰქონიათ სახელმწიფოს მონათესავეებს სახელმწიფო უმთავრეს მოხელეებთან. — ჩვენ არ გიცნობთ დატყვევებით, რა დროს არის შედგენილი ვახტანგის „ქართლის ცხოვრება“. ჩვენ გთვითხარობ, რომ ის იმავე დროს უნდა ეგუთნოდეს, რა დროსაც ეგუთნის „სამართალი“. „ქართლის-ცხოვრების“ წინა-სიტყვაობა იტყვის: „პატრიარქონო და დიდებულნო ქართველნო, ყაშთა ვითარებისაგან „ქართლის-ცხოვრება“ განყენილ იყო: რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ყაშთა ვითარებისაგან არღანა წერებულ იყო: ხალა ვახტანგმან, ძემან ლეონისამან და ძმის-წულმან სახელავანის გიორგისამან შეკრიბნა მეტნიკნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ „ქართლის-ცხოვრებაჲნი“ ჰოვნა, და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განყენილ იყო, განმართეს, და სხვადა წერილნი მოიხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვ-

რებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღაწერინეს“. მართლად და ჩვენ ვიცით, რომ ძველადვე უყოფილა საქართველოში სხვა და სხვა „ქართლის-ცხოვრებაები , \*) საიდანაც შემდგომად ვახტანგის „ქართლის-ცხოვრება“. იქ, სადაც ვახტანგს დაუსრულებია, იმის სახელადგან ძეს ვახუშტის მიუყვება ხელი და განუგრძობია.

დიდს განცვიფრებაში მოკუეკანთ უოკუელსაკე ზემო-ხსენებულს ვახტანგის შრომასა. სად ქქანდა იმას მოსკენება და დრო? ჩვენ ვნახეთ, რომ მთელი საქართველო შეაჩაღებულა იყო: შინაურა აღრეულაბა, ერთი-ერთმანეთთან და ვარეშე მტერთან ბრძოლა ანა სწუდებოდა; მაგრამ ამ გვარს საქართველოს მდგომარეობა ანა თუ არ ასუსტებდა, ანამედ უფრო და უფრო აღვიძებდა ვახტანგის მადლად მინიჭებულ გონებას და მზრუნველობას მამული-სადმი. ნუ დავივიწყებთ, რომ იმას სხვა მრავალ-გვარს უბედურებაც სდევნიდა. 1701 წელს, 21 აპრილს, ყანდაარში მიწ-ვეისმა ვახტანგს ბიძა გიორგი მოუკლა და იმასთან მეოფნი ქართველნი აშოსწუვიტა. იმავე წელს, 13 ივლისს. ისპაანში მიიციკალა ვახტანგის მამა ლევანი. უფროსი ძმა ვახტანგისა ქაინოსრო შეიქმნა სპანსეთის სპანსაღარად, რომელსაც ვახტანგმა მიწ-ვეისთან საბრძო-

\*) სხვა საბუთების გარდა ამ ფაქტს ჰმოწმობს ერთი გუჯარი 1564 წლისა, რომელიც საქართველო-იმერეთის კანცლარაში იპოება და რომელიც მცნეთის კაფედრის ბიბლიოტეკის რიტცხუმი ქართლის ცხოვრებასაც მოიხსენებს (იხილე ჩემი კატალოგი, გვერდი 572).

ლად წარუგზავნა აჩხულები მხედარნი. ქაიხოსრომ თავ-  
დაპირველად, 1710 წელს, მირკეისს სძლია, ძმა და  
ძმის-წული მოუგლა. შემდეგ სპა მისუსტებული მუცლის  
სენისაგან და საკუთარის ძმის იასეს ლაღატისაგან, ის  
იძლია: ჯერ მოკლულ იქმნა იმისა ძმის-წული, აჩხილის  
შვილი ალექსანდრე, შემდეგ, 26 ოკტომბერს, 1711 წ.,  
თვით ქაიხოსროცა. ნაღვლით საგსემ და მწუნარე ვახტან-  
გმა სპარსეთს წასვლა განიზრახა. ამ შემთხვევას სხვა მი-  
ზეზად დაერთო: სპარსეთის შაჰი უგმაყოფილო იყო ვახ-  
ტანგზე იმისგამო, რომ ის ცდილობდა საქართველოში  
ქართველების ამაღლებასა და სპარსების დამცირებასა სა-  
ქართველოში მეოფნი სპარსნი ვახტანგს შაჰთან ასმენდნენ.  
ვახტანგმა ნება მოითხოვა შაჰთან ხლებისა. მოვიდა მეჭ-  
მედარი მიწოდებული. ვახტანგმა ცალ შვილი გორს  
დასტოვა, ქართლის გამგეობა თავის ძმას სვიმონს მიან-  
და და 22 აპრილს 1712 წელს გამგზავრა: თან ახლ-  
დნენ დარბაისელები, მცირედნი და დიდნი, რიცხვიც, ჩხე-  
იძის თქმით, 300-მდე, კრუზინსკის მოწმობით 3-ათა-  
სამდე; იმათ შორის თვით სუნიც ჩხეიძე. ჩაკვლით ისპა-  
ანს — მოგვიტოვებებს ჩხეიძე — დახვდა ხელმწივე მხიარულად.  
მეორესა დღესა უფო მეჯღიში, დაჯდა ნადიმად, სვეს ხე-  
თსა საათსა, უბოძა თასი მურასა, წამოგვლით მხიარულად,  
შეგვიქნა სიმხიარულე, კიუბით განსვენებასა და ღზინსა  
შიტან“. ვახუშტი იტყვის; „მისრული წინაშე ეეენისა ვა-  
ხტანგი პატრიკ-ცემულ-იქმნა დიდითა პატრიკითა და შეეკა-

რებულ ფრიად სიკეთისა მისისათვის და უთქმინდა მსჭმადი-  
ანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფელ გამო-  
ტყვებასა. აწამედ მან აწა თავს-იღვა, მეტყველმან: „მე  
მოკვდ, რათა აწა დამარტონ მეტრთა და შეიბრეს ქართ-  
ლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მსჭმადიანნი და რამელი  
გნებაჲს წარკვლინე და მე ვეყო წინაშე შენსა“. მასინ  
ინება ეყენმან წარმოკვლინება ვახტანგისა სჯულისათა თვისი-  
თა, აწამედ აწა აუფლეს რმაწთა, განზრახთა თვისთა და  
არცა ინება იასემ ნუბითა ვახტანგისათა გარმოკვლას: „იასემ არ  
დასცხრა. „იასემ აღუდგინა ძმისა თვისისა ვახტანგისა თბილი-  
სის გუშაგნი და შეასმენდნენ ეყენსა დაწვასა ყოჩანისისა  
და სხვათა მრავალთა უჯეროთა მსჭმადიანთა ზედა. ამი-  
სთვის მოგზავნა ეყენმან ხოლოთა თბილისს, რათა სცნას,  
რა ბოროტი უქმნიეს მსჭმადიანთა ზედა ვახტანგს. აწა-  
მედ იღუშალ ამცნეს ხოლოთას, უკეთუ იტეს ჟამი, დაიბ-  
ყრას ქართლი და სვიმონ მუნ წარკვლინოს. ხოლოთასთან  
შეიზრახნეს სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის  
ბოროტსაზედა, რამეთუ რაჟამს დაიბყრა ვახტანგ რუსეთი  
და განიწყო მტველნი თვისნი, მიერით ეშინოდათ გიორ-  
გის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაზურობი-  
სათვის, ამისთვის მოუწერეს ეყენსა: აწა გნებაჲს ვახტანგ,  
აწამედ მოგვივლინე იესე. ხოლო ეყენსა რა ესმა ვახტან-  
გისათვის ესენი აღუძნდა და აწა ინება ეტრეთ. აწამედ  
რმაწთაგან იძულებულმან წარმოკვლიან იესე მეფედ ქარ-  
თლისად ნიჭითა, კინადგან აღეთქვა იესეს ეყენისათვის

წარუვლინებდა დედოფალი და ძენი კახტანგისანი და ხუთა-  
სნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დასასხლას ფარა-  
ბათს. 1714 წელს იასე თბილისში შეიკვდნენ დაჟდა, აღი-  
უყული ხანად წოდებული და ფრინად მიქცეული მაჭმადიან-  
ბასაზედა, მდიდარი და ამაყი მშეკებული და გამცხრომელი  
უწესრებითა ყრმათა თანა და უგანათა მღერათა. გარნა  
შქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დედის ბიძისა თვისისა  
ქაინოსრის ამირეჯობის ბების ძმის-წული თვისი და შე-  
ირთო თვით ცოლად. ამხილეს კათალიკოს-ეპისკოპოსთა  
და უმეტეს იოანე სააკაძემ ტარჯის ბერთუბნის მამამან,  
კაცმან დირსმან. ანამედ მან არა უსმინა შეტყუებამს: ვარ  
მე მაჭმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა. ამ ყამად ტარჯეობ-  
მა გამოვლეს კახეთი, მოვიდნენ ხუნანს, მოსწუფიტნეს და  
მოსტყუენეს დახუბი. იასემ ვერ შეასრულა — განაგრძობს  
კახუშტი — დაკედრებული ყეენისა, მაშინ მოიყვანა ყეენ-  
მან კახტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა,  
და მიაქციეს 1716 წ. სჯულსა მათსა, და წარმოაგვლინეს  
თავრიზს, რათა წარუვლინოს სპანი ხოდასანს და მოსცეს  
გამეობა ქართლისა ბაქარს, ძესა მისსა. „ბაქარი იმერე-  
თიდამ მცხეთას გამოვიდა, იასე კახეთს გავიდა, ბაქარმა  
ის კახ-ბატონს იმამ-კული-ხანს გამოსთხოვა, მაგრამ იმამ-  
კული ხანმა უარი უთხრა. მაშინ მაჭმა გავზავნა თავისი  
მურდარი, რომელმაც იასე შეიპყრო და ბაქარს ჩააბარა;  
ბაქარმაც ის დაატუსაღა თბილისის სასახლეში“. ეს ამბავი  
მოხდა 1716 წელს. ბაქარი მიაქციეს მაჭმადის სჯულსე,

თუმცა, ვახუშტის თქმით, სიტყვით და არა საქმით. ბაქს-  
რის დროს ჩამოიკრიბნენ დაღისტნიდან დიდ ძაღნი ლეკ-  
ნი. იმათ მიემხრეს ჭარულნი, მოსრეს ქართველები და  
დატვირთულთა შთავლეს ყარაია, სადაცა მწავალი იმათ  
შორის სიტყე—უწყულობით ამოიხრცა. ამ დროს შირვე-  
ლად გამოჩნდა მოქმედ შირად ვახტანგის ძე ვახუშტი. ვა-  
ხუშტი იყო უკანონო შვილი ვახტანგისა, თუმცა არ ვიცით  
ვინ ჭყვანდა იმას დედად. ბრძანეს შენიშვნით ვახუშტი უნდა  
იყოს დაბადებული მეჩვიდმეტე საუგ. გასულს და რადე-  
საც სცენაზე გამოვიდა, 15—20 წლის უნდა ყოფილი-  
ყო. ვახუშტს შემდეგაც ვხედავთ სამხედრო ასპარეზზე;  
მაგრამ ის ამ მხრით არ არის ჩვენთვის შესანიშნავი. იმი-  
სის დაუცხრომელის მიდრეკილების საგანი მეცნიერება  
იყო. უძაწვილობითვე ვახუშტს ისეთი ხშირი დამოკიდე-  
ბულობა ჭქონდა კათოლიკის მისსიონერებთან თბილისში,  
რომ იმას კათოლიკობაც შესწამეს. ვახუშტმა ისეთი ღვა-  
წლი მიაგო. მთელს საქართველას, რომელსაც ჩვენს ენა-  
ზე მხოლოდ იმის მამის ვახტანგის შრომა უდრის. ეს  
არის იმისი წარჩინებული „საქართველას გეოგრაფია“  
კარტებით და „საქართველას ისტორია“, რომელიც აქ  
ადგილ-ადგილ ხელთ-მძღვანელებად გვაქვს. ერთი ცნობა მო-  
იხსენებს, ვითომც ვახუშტს თავისი ისტორია რომში  
შეედგინოს. ჩვენ არ ვიცით, მართლაც თუ არა ეს ცნო-  
ბა. არც ის ვიცით იყო თუ არა ოდესმე ვახუშტი რომ-  
ში. ეს კი უაზრულია, რომ ვახუშტს „საქართველას ის-

ტორის“ „გეოგრაფიითა“, რომელიც თვით „ისტორიის“  
ნაწილს შეადგენს. დაუსრულებია 1745 წელს მოსკოვში,  
სადაც ის დამკვიდრებულა შემდეგ იმის სახლობის გადასუ-  
ლისა წესეთს და სადაც 1770 წ. გარდაცვლილა.

ვასტანგი 1717 წელს დაბრუნდა ქართლს სპარსეთი-  
დამ. სპარსეთში იმან დაჭედა სუთი წელი აქ იმას ეს დრო  
უნაყოფოდ არ გაუტარებია. ვასტანგს ისპაანში უთარგ-  
მნია ქართულად სპარსული იხიჯი ანუ წიგნი ვარსკლავთ-  
მჩინებველობისა და ცის-ქმნულებისა, რომელიც თვით  
იმას 1721 წელს თავის სტამბაში თბილისში დაუბეჭდია.  
გარდა ამისა ვასტანგს უთარგმნია ქიმიასში სპარსული-  
დამკვი ქილილა და მანანა ანუ ქილეილაჭ-ვე-დიმნაჭ, რომე-  
ლიც უფრო ახვარი — სოჭაილად იცნობება. ამ წიგნის ქარ-  
თულს თარგმანში შრომა ეკუთვნის ვასტანგს, ლექსი სულ-  
ხან-საბა-არბუციანს. ქილილა და მანანა შეიცავს სახსკრი-  
ტულს ზღაპართ-გზებასა და იბითა ღირსი ყურადღებისა,  
რომ ის სპარსეთში სულ შირველად შემოუტანიათ ინდო-  
ეთიდან სასანიდების დინასტიის დროს, უთარგმნიათ  
მრავალს აზიურსა და ევროპიულ ენებზე და თვით ქარ-  
თულად გადმოუღიათ ბევრით ადრე ვასტანგზე, ესე იგი  
თამარ დედოფლის დროს. — რაც რომ ზემოდ ვასტანგის  
უოფნაზე სპარსეთში ცნობები ვუჩვენეთ ჩვენის წყარო-  
ბიდან, იმას უცხო-ტომთ მწერალნიც კომოშობენ. აი რას  
ამბობს კათოლიკი კრუზინსკი, ვასტანგთან დიად დახ-  
ლოკებულ პირი. „როდესაც ვასტანგი წარსდგა სპარსე-

თის სასახლეში, ის პატრიარქის-ტყეში მიიღეს, იმის ამალას  
დღეში 50 თუმანი დაუწესეს, თვით იმას მოსთხოვეს,  
რომ მატყინა მიიღოს, თუ შეიძლება ჭსურს. ვახტან-  
გმა ტახტის უარის უფლება იწინა. მაგრამ თვით იმის სა-  
ხლის-წვევით შესმენით ის ვახტანგის, თუმცა პატრიარქით,  
ქიქმანს. ვახტანგის ძმის-წულმა საქართველოს პატრიარქ-  
მა \*)), ისურვა ცოლის შეროვა და მატყინის სჯულის მი-  
ღება, მაგრამ იმისმა მამამ, ისახანის მსჯულებით-უხუცესმა  
და საჩუქრებით მუსულმანმა, რომელიც შემდეგ მცირე-  
დის უძმისა კათალიკედ აღესრულა \*\*), აღმოგვიჩვენა იმის  
ეს წადილი მკაცრის ტყეშია. ვახტანგის უმცროსი ძმა  
იასე მატყინა შეიქმნა და ქართლის მეფედ დაჯდა. ოთ-  
ხი წლის შემდეგ ვახტანგი ექსლარნიდან დაბრუნეს იმ  
განზრახვით, რომ ის თავის ქართველობით აგვანებს შეჭ-  
ბრძოლებიყო. ვახტანგმა ჯერ უარი ჰყო ქართლს სჯუ-  
ლის დატოვებისა, თუმცა იმას ჭსურდა ბეჭმის აღსარე-  
ბის შეტყობა. ამ განზრახვით იმან გაგზავნა ერთი სანდო  
პირი, ბარანი ელიზბარ ბითონი, რომლის კათალიკე მი-  
ლანში მამა ბარბარე თეოდოსიანს, რომელსაც მოსთხოვა შემწე-  
ობის მოხმარება აღსრულებაში მთავრისთვის იმის სურ-  
ვილისა: ვახტანგს უნდა კათალიკობა მიეღო კრუწინ-

\*) საქართველოს კათალიკოსი დომენტი იყო ვახტანგის ძმა  
და არა ძმის-წული.

\*\* კრუწინსკი აქ ქინოსროს მოხსენიებს.

სკის ხელით. მაგრამ მიხმული სასახლეში შემთხვევის მოთხრობებით გამაჭმადინდა და წინა დანიცვითა. მაშინ ვახტანგს მიანდეს გამგეობა თავრიზისა და სპასალარობა ირანისა; ამასთანავე უბძანეს, რომ ავგანებთან საომრად მომზადებულიყო. დიდხანს აღარ გაუგლია, როდესაც დიდგატთა შუქის-ძიებაში მიჰსადა ვახტანგს სპასალარობა; ის გაისტუმრეს საქართველოში. კრივანში იმან გამეუცხადა ერთს ღამის საუბარში კრუზინსკის, რომ თუმცა გვამით მუსულმანი ვარ, მაგრამ სულით ისევე ქრისტიანი ვარ. — შოგერეთს კრუზინსკის ცნობას თუმცა არც ვახუშტი, არც ჩხეიძე არ იხსენიებენ, მაგრამ საბა-სულხან-ოღბელიანი კი ჰქმნიან, მაგალითად დომენტი კათალიკოსის განზრახვას მაჭმადანობის მიღებისას. საბა ამასაც დაუერთავს, რომ დომენტი სპარსეთის მუღლბელობისაგან ქართლის ტახტს ითხოვდა. გარდა ამისა საბა გვიამბობს ვახტანგის მიდრეკილებას კათალიკოსის აღსარებისადმი. ამასვე ამტკიცებს ვახტანგის მიწერ-მოწერა ლუდოვიკ მეოთხემეტსთან. ეს მიწერ-მოწერა პირველად აღმოჩენილა პარიზის უცხო-ქვეყნის სამინისტროს არხივში, სადაც ის გარდაუცია ვახტანგის შთამომავალს მეოთხე თაობაში, ფრანციის ჰერს, ალექსი სენ-პრის, რომლის ძამასაც, დიად ცნობილს ფრანცუზის ელჩს კონსტანტინოპოლში, ცოლად ჰყვლია გინაუნა გალიცინისა, შეიღის-შეიღი ვახტანგის ბიძის გიორგისა. ვახტანგის მიწერ-მოწერა დაუბეჭდია უ. ბრესსეს 1832 წელს ფრანცუზულს Journal Asiatique-ში. ვახტან-

ვის შეამავლად ლუდოვიკთან უფილია იმისი ბიძა სულ-  
ხან-ოზბედიანი, დიად დიხს-საფნობელი როგორც თავის  
კავშირით რომის მისსიონერებთან, აგრეთვე თავის ლექ-  
სიონით და სხვა მწიგნობრითა. სულხან-საბა ვახტანგის  
მინდობით გასულა ევროპაში, სადაც 1713 წ. კათოლი-  
კის მღვდელს რომანს გაჭედიდა და სადაც კათოლიკის  
ადსარება მიუღია სან-ბაზილის მონასტერში და ბუკარესტ  
შემდგარა; მასუგან რომით შარიუში მისულა 1714 წლის  
დასაწყის. აქ იმას მიუერთებია კაროლისთვის ვახტანგის  
შასუხი ლუდოვიკის წერილზე, რომელზედაც ჩვენ ცნობა  
არა გვაქვს. ვახტანგი თავის შასუხში ლუდოვიკს ულ-  
ცავს იმის 1702—1706 გამარჯვებას გერმანიაში, იტა-  
ლიაში და ისპანიაში და ამასთანავე უზივის საქართველს  
მდგომარეობას. სულხან-საბა ორჯელ წამდგარა კარო-  
ლთან მაისში 1714 წ.; დაბრუნებულა რომს იმავე წელს  
ივლისში და მოსულა კონსტანტინეპოლს 30 სექტემ-  
ბერს 1715 წელს. აქ ის ფრანციიდან ელჩის დეზალე-  
რის მფარველობას ქვეშ ერთი წელიწადი დარჩენილა: შემ-  
დეგ შემოსულა საქართველოში, სადაც იმას მოჭედიან  
თორმეტი მისსიონერი კახუფინებთან. საბას წერილი-  
დამ ფრანციის შინისტრთან პონშატრენტან ცხადად  
სჩანს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაც და ვახ-  
ტანგის გულის წადილიცა. საბა ითხოვს, რომ საფრან-  
გეთის შემწეობით ვახტანგი სპარსეთიდან საქართველოში  
დაბრუნდეს. „თუ დაბრუნდება — სწერს საბა — ქართველ-

ნი ანა თუ დამაძახებელი ქრისტიან სჯულსა, ანამედ კათოლიკის საწმუნებოას შეუერთდებიან, თავიანთი მეფის მაგალითით, რომელიც ამისთვის მომზადებულია. ვანტანგს სხვა განზრახვაცა აქვს: იმას ჭსურსა მისსიონურებს ღონის-ძიება მისცეს. რომ იმათ საქართველს მოსახლეზე ჩეჩენნი ქრისტიან საწმუნებოასზე მოიყვანონ. საბა იმ იმედსაც აძლევს მონაწილენს, რომ ვანტანგი სასახლეს შეემზადებსა თბილისში ფრანციის კონსულს; რომ ის უშიშრობას მიაგებსა ფრანციის საჭირო საქონელს, რომელიც იქიდან საქართველთ სპარსეთში ივლისა და სპარსეთიდან ფრანციაში; რომ ის ამ სავაჭროს თავის ხარჯით გაიტანსა სპარსეთის საზღვრიდან შავ-ზღვამდე და შავის-ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე; რომ ის მაგარინებს გააჩენსა შავის-ზღვის შიდად სამეგრელოში და თავის სამთავროებოში; რომ ის ღონის-ძიებას მისცემს ალებ-მიცემს ფრანცურებს, რომ სავაჭროები შეიტანონ ჩეჩენებში და საქართველს მხარებში; რომ რაც საჭიროა ალებ-მიცემობასთვის და ფრანციისთვის და რაც კი შესაძლებელი საქმე იქნება ყოველსავე ამას ვანტანგი აღსრულებსაში მოიყვანს.

947.922

§ 325

გრ. ჩარკვიანის წიგნის ძალაშიაში ისყიდება  
შემდეგი წიგნები:

- 1, მიჩიან მეფე და წმიდა ნინო . . . . . 10 კ.
- 2, ზაგრატ მეოთხე . . . . . 20 —
- 3, ვასტანგ მეექვსე . . . . . 15 —
- 4, საახალწლო ნ. ნიკოლაძისა . . . . . 50 —
- 5, „აპაზაანი“ ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა. 40 —

იბეჭდება და გამოვა „სამწერლო თაიგული“  
შედგენილი ი. ჭყონიასაგან და „კოლმეიკური საუ-  
ბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისტან“ მდ. სი-  
მეონ ბეგიევისა.